სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები მოგების გარდა აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს იქიდან გამომდინარე რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო საერალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში წლიური შევსებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას რომელიც გავლენას ახდენს მოგების ხარჯების აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საინვესტიციო ქონების ღირებულება

კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების შეფასება სამართლიანი ღირებულებით 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღით. კომპანიამ გამოიყენა ფასს 1 - ის მიხედვით დაშვებული გამონაკლისი და აღიარა სამართლიანი ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული განხორციელდა იმ გარეობიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ ვერ მოიძია საინვესტიციო ქონების ღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

5. გამოცემული სტანდარტები რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოიცა მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ საჭიროების შემთხვევაში

ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასს) გამოსცა ფასს 9-ის "ფინანსური ინსტრუმენტები" ბოლო ვერსია რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება მაგრამ შესაძარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიულად გამოიყენება გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

ფასს (IFRS) 15 "ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან"

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს რომელიც გამოიყენება მოხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ფასს (IFRS) 16 “იჯარა”

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“ ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების შეფასების წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

მენეჯმენტის შეფასებით ახალ სტანდარტების დანერგვას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვასა და ახსნა განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.
- შესწორება IAS 7 სახელწოდებით „ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში“ (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს პირის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- შესწორება IFRS 12 (გამოცემული 2016 წლის დეკემბერში) - შესწორება რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან, განმარტავს სტანდარტის მოქმედების ფარგლებს, და აზუსტებს სტანდარტის გამოყენების წესს.

ახალ ინტერპრეტაციებსა და სტანდარტის განახლებებს არ ქონიათ მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავალზე.

7. შეცდომების გასწორება

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდში დაფიქსირებული შეცდომების გასწორება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რამაც შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2016 წლის 1 იანვრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით:

სს ტრაქტები
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ლარი)

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
1 იანვარი 2016			
ძირითადი საშუალებები	252,072	(226,188)	25,884
საინვესტიციო ქონება	-	6,582,327	6,582,327
ბიოლოგიური აქტივები	5,823	(5,823)	-
წმინდა საგადასახადო აქტივი	3,915	(1,524)	2,391
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(3,147,222)	8,446,332	5,299,110
გრძელვადიანი სესხები	2,532,473	(2,532,473)	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	132,449	(132,449)	-
მოკლევადიანი სესხები	20,000	(20,000)	-
საგადასახადო ვალდებულებები	1,524	(1,524)	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,186	588,906	590,092

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
31 დეკემბერი 2016			
ძირითადი საშუალებები	235,654	(215,310)	20,344
საინვესტიციო ქონება	-	6,538,672	6,538,672
ბიოლოგიური აქტივები	5,823	(5,823)	-
წმინდა საგადასახადო აქტივი	1,957	(1,957)	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(3,312,242)	8,573,049	5,260,807
გრძელვადიანი სესხები	2,691,967	(2,691,967)	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	132,449	(132,449)	-
საგადასახადო ვალდებულებები	3,832	(1,957)	1,875
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	249	568,906	569,155

წინა პერიოდის კორექტირებები გამოწვეული იყო შემდეგით:

კომპანიამ გადახედა შენიშვნა 22-ში აღწერილი მიწის სამართლებრივ საკითხებს და დაასკვნა, რომ იგი აკმაყოფილებდა ფინანსურ მდგომარეობაში აღიარების კრიტერიუმებს და შესაბამისად აღიარა 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღს. ამავდროულად, კომპანიამ შეაფასა აღნიშნული მიწა სამართლიანი ღირებულებით (შენიშვნა 9).

კომპანიამ ასევე გადახედა შესაბამის დოკუმენტაციას და დაასკვნა რომ გრძელვადიანი სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები არ აკმაყოფილებდა შესაბამის აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად კომპანიამ ჩამოწერა აღნიშნული თანხები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და სანაცვლოდ აღიარა სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, თანხით 588,906 ლარი (შენიშვნა 21).

კომპანიამ სამართლიანი ღირებულებით შეაფასა, მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონება, რომელიც აკმაყოფილებდა საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს და შესაბამისად მოახდინა თანხების კორექტირება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. განსხვავების ასახვა მოხდა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

7.1 წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

რეკლასიფიკაციას დაქვემდებარა სრული შემოსავლის უწყისი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რათა მომხდარიყო სწორი პრეზენტაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სს ტრაქტები
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ლარი)

	აღწერა	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებ ელი შესწორება	კორექტირებულ ი თანხები
31 დეკემბერი 2016				
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული სარგებელი		-	54 200	54 200
კომუნალური ხარჯები		-	22 439	22 439
ქონების გადასახადის ხარჯი	საერთო და ადმინისტრაციული	-	12 335	12 335
შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა	ხარჯებში შემავალი თანხების გადანაწილება შესაბამის ანგარიშებზე	-	4 003	4 003
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	9 854	9 854
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		102 831	(102 831)	-

სს თრაქტები

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2016 წლის 1-ლი იანვარი	37,322	420,481	11,417	469,220
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	37,322	420,481	11,417	469,220
გასვლა	-	(420,481)	-	(420,481)
2017 წლის 31 დეკემბერი	37,322	-	11,417	48,739
დაგროვილი ცვეთა				
2016 წლის 1-ლი იანვარი	(34,449)	(398,801)	(10,086)	(443,336)
ცვეთის ხარჯი	(583)	(4,336)	(621)	(5,540)
2016 წლის 31 დეკემბერი	(35,032)	(403,137)	(10,707)	(448,876)
ცვეთის ხარჯი	(458)	(2,602)	(167)	(3,227)
გასვლა	-	405,739	-	405,739
2017 წლის 31 დეკემბერი	(35,490)	-	(10,874)	(46,364)
საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 1-ლი იანვარი	2,873	21,680	1,331	25,884
2016 წლის 31 დეკემბერი	2,290	17,344	710	20,344
2017 წლის 31 დეკემბერი	1,832	-	543	2,375

9. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა ნაგებობები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2016 წლის 1-ლი იანვარი	6,187,270	436,543	6,623,813
2016 წლის 31 დეკემბერი	6,187,270	436,543	6,623,813
2017 წლის 31 დეკემბერი	6,187,270	436,543	6,623,813
დაგროვილი ცვეთა			
2016 წლის 1-ლი იანვარი	-	(43,654)	(43,654)
ცვეთის ხარჯი	-	(43,655)	(43,655)
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(87,309)	(87,309)
ცვეთის ხარჯი	-	(43,654)	(43,654)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(130,963)	(130,963)
საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 1-ლი იანვარი	6,187,270	392,889	6,580,159
2016 წლის 31 დეკემბერი	6,187,270	349,234	6,536,504
2017 წლის 31 დეკემბერი	6,187,270	305,580	6,492,850

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეფასება გაკეთდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რომელიც არის აკრედიტირებულ დამოუკიდებელი შემფასებელი. შეფასება გაკეთდა კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღით და საბაზრო ღირებულება გამოყენებული იქნა როგორც თვითღირებულება, შესაბამისად ფასს 1 - ში დაშვებული გამონაკლისი შემთხვევისა.

სს თრაქტები

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნედლეული და მასალები	19,316	17,599
სხვა მარაგები	-	793
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	19,316	18,392

11. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	7,351	7,940
გაუფასურების რეზერვი	(403)	(4,003)
სულ დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,948	3,937

სავაჭრო და სხვა მოთხოვნება ძირითადად შედგება საიჯარო მომსახურებიდან მისაღები თანხებისაგან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვები გაუქმდა ღირებულებით 3,600 ლარი (2016 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ღირებულებით 4,003 ლარი აღიარდა როგორც გაუფასურებული მოთხოვნა). ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

	შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა	სულ
2016 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	-	-
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	4,003	4,003
გაუქმება პერიოდის განმავლობაში	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,003	4,003
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	-	-
გაუქმება პერიოდის განმავლობაში	(3,600)	(3,600)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	403	403

ქვემოთ მოცემულია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

	სულ	არც ვადაგასული და არც გაუფასურებული	ვადაგასული მაგრამ არა გაუფასურებული				
			30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-260 დღე	>360 დღე
2016	3,937	3,937	-	-	-	-	-
2017	6,948	1,798	268	304	575	-	4,003

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
თანხა სალაროში	7,403	6,886
თანხა ბანკში	45,170	1,611
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	52,573	8,497

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 1,909 ლარს (2016: 3,457) და ძირითადად მოიცავს კომუნალურ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

ზემოთ ნახსენები ვალდებულებების პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

14. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
დავალიანება აქციონერის წინაშე*	568,906	568,906
სხვა ვალდებულებები	248	249
სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	569,154	569,155

* აღნიშნული დავალიანება აღიარებულია 2005 წლის 26 აპრილის თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლომ სს ტრაქტების მიმართ 588,906 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება სოლიდარულად გადასცა მოსარჩელებს ზურაბ ნესტორის ძე ყვავაძეს, მერაბ ზურაბის ძე ყვავაძეს და ზურაბ ზურაბის ძე ყვავაძეს. ეს თანხა მოსარჩელების მიერ 2003 წელს გადახდილია სს ტრაქტების ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად.

15. შემოსავალი

2017 წლის შემოსავალი 140,310 ლარის ოდენობით (2016: 114,110) მოიცავს ამონაგებს საიჯარო მომსახურებიდან და იჯარის თანხები მომსახურებიდან.

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები	2017	2016
რემონტის დანახარჯები	5,063	593
საწვავის ხარჯი	2,144	2,547
სხვა ხარჯი	3,100	5,908
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	10,307	9,048

17. მოგების გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

კომპანიას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯებით დაანგარიშებული მოგების საფუძველზე დაერიცხა მოგების გადასახადის ხარჯი 1,188 ლარის ოდენობით.

18. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბერი: ნული)

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2016 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა

სს თრაქტები

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2016 -2017 წლებში მოცემულია ქვემოთ:

2017				
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,909	-	-	1,909
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,909	-	-	1,909
2016				
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,457	-	-	3,457
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,457	-	-	3,457

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი -17		31 დეკემბერი -16	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	52,573	52,573	8,497	8,497
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,948	6,948	3,937	3,937
ვალდებულებები წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,909	1,909	3,457	3,457

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დავალიანება აქციონერის მიმართ

2005 წლის 26 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპანიას დაეკისრა მეწილე ფ/პ ზურაბ ყვავაძის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში კომპანიის დავალიანების დასაფარად გადარიცხული თანხის დავალიანებად აღიარება 568,905 ლარის ოდენობით.

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2017	2016
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	7,636	7,636

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2018 წლის 8 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიას ოფიციალურად დაურეგისტრირა ქ. თბილისში გულიას ქუჩა # 1 ში მდებარე 25,000 მ² მიწის ნაკვეთი (დეტ. იხილეთ შენიშვნა #9). აღნიშნული მიწის ნაკვეთის კომპანიის სახელზე რეგისტრაციის საკითხზე 2009 წლიდან სხვადასვა ინსტანციაში მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რომელიც საბოლოო ჯამში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ და 2015 წლის 14 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა შესაბამისი მიწაზე სს ტრაქტების საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

2018 წლის 29 ივნისს გაიმართა კომპანიის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, რომელმაც დაადგინა შემდეგი საკითხები:

1. აქციონერი ფ/პ ზურაბ ყვავაძე (მოწილე 44.53%-ის ოდენობით) აღიარებულ იქნა კრედიტორად 7,537,920 ლარის ოდენობის ვალით;
2. მოხდეს კომპანიის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც კომპანიის ქონებისა და ვალდებულებების 44.53% გადაეცეს ფ/პ ზურაბ ყვავაძის მიერ დაფუძნებულ კომპანია შპს ოკრიბას;
3. რეორგანიზაციის შედეგად სს ტრაქტების სახელზე დარჩენილი ვალის ნაწილის 4,179,493 ლარის ფ/პ ზურაბ ყვავაძისადმი გადახდის ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი. ამ

თარიღის დარღვევის შემთხვევაში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ამ ვალს დაერიცხოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთით დადგენილი საპროცენტო ვალდებულება;

4. რეორგანიზაციის შედეგად კომპანიის სახელზე დარჩენილი უძრავი და მოძრავი ქონება იპოთეკით და გირავნობით დაიტვირთოს კრედიტორ ფ/კ ზურაბ ყვავაძის მიმართ დარჩენილი ვალის უზრუნველსაყოფლად.

2018 წლის 18 სექტემბერს ჩვენ მოვიპოვეთ ზურაბ ყვავაძის წერილი, რითაც იგი ადასტურებს რომ არ მოითხოვს აღნიშნული ვალის გასტუმრებას ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, თუ ეს ფინანსურ საფრთხეს შეუქმნის კომპანიის ფინანსურ მდგარდობას. შედეგად, ზემოთ მოყვანილი რეორგანიზაციის ფარგლებში გადახდის ვადამ გადაიწია 2019 წლის სექტემრამდე.

მმართველობითი ანგარიშგება

2017 წელი

შინაარსი

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.	3
შეთავაზებული მომსახურეობა და განვითარების გეგმები	3
რისკები	4
ფინანსური მაჩვენებლები	5

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

სააქციო საზოგადოება "ტრაქტები" (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად და მისი ორგანიზებული სამართლებრივი ფორმა არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია : ქ. თბილისის კრწანისის გამგეობის 1995 წლის 23 თებერვლის #1/78 განკარგულებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 22 დეკემბრის # 36,08,331 დადგენილების საფუძველზე, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი გულიას ქ # 1, საფირმო დასახელება: სააქციო საზოგადოება "ტრაქტები", საინდიფიკაციო კოდია: 204379519.

კომპანიის მსხვილი აქციონერები არიან: 44.5% - ფ/პ ზურაბ ყვავაძე (პ/ნ: 01006001455), 23.4% - ფ/პ ზურაბ ყვავაძე (პ/ნ: 01005010903), 13.2% - ფ/პ მერაბ ყვავაძე (პ/ნ: 01006008026). დანარჩენ აქციებს ფლობენ სხვადასხვა ფიზიკური პირები. საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა მორიგი კრება ტარდება წელიწადში ერთხელ სამეურნეო წლის დასრულებიდან წლიური ანგარიშის წარდგენიდან ორი თვის ვადაში. სამეთვალყურეო საბჭო შესდგება სამი წევრისგან, რომელსაც აქციონერები ირჩევენ ოთხი წლის ვადით, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყავს თავჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს დირექტორის საქმიანობას. სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე აკონტროლებს საბუღალტრო წიგნებს, სალაროს, ფასიან ქაღალდებს და სასაქონლო მარაგებს. დირექტორების დანიშვნას მათ გამოწვევას ანაზღაურების დაწესებას და მათი კომპეტენციის განსაზღვრას. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება საწარმოოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება. წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება. დირექტორების უფლება მოსილების ფარგლების დადგენა. საზოგადოების ხელმძღვანელობას ასრულებს გენერალური დირექტორი. დირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო ოთხი წლის ვადით. საზოგადოებისა და სხვა დირექტორების საქმიანობას მართავს და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი არის მხოლოდ გენერალური დირექტორი. სს„ტრაქტები“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეობს გურამ ამყოლაძე. წევრები: ავთანდილ წიკლაური, რომან რობაქიძე. გენერალურ დირექტორს წარმოადგენს მერაბ ყვავაძე. დირექტორები: ავთანდილ წიკლაური, როსტომ ხარაიშვილი, რამიზ გულიევი, გიული მემარნიშვილი.

შეთავაზებული მომსახურება და განვითარების გეგმები

სააქციო საზოგადოების მიზანი არის მოგების მიღება.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია საიჯარო შემოსავალი თუმცა საზოგადოების ძირითად საქმიანობას 2005 წლამდე შეადგენდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანა. 2005 წლამდე მენეჯმენტში დაშვებული შეცდომების და არასწორი მართვის შედეგად, ორგანიზაციამ ვეღარ შეძლო ვალდებულებების დაფარვა

ბიუჯეტის წინაშე და შესაბამისად ვერც ავტოპარკის განახლება, გამომდინარე აქედან წარმოიშვა კრედიტორული დავალიანება.

საზოგადოებამ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა განვითარება, რაც გამოწვეული იქნა ორგანოზაციისგან დამოუკიდებელი პრობლემებით, დიდი დრო დასჭირდა ტერიტორიის დაკანონებას, ამიტომ საზოგადოება ვერ გეგმავდა შემდგომი განვითარების გეგმებს და ნაბიჯებს. სამართლებრივი ხარვეზების გამო ვერ ვახდენდით ჩვენი უძრავი ქონების რეგისტრაციას, ამ დროისთვის დასრულდა საზოგადოების უძრავი ქონების რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით საზოგადოებაში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, მენეჯმენტის ხედვით რეორგანიზაცია მისცემს საშუალებას ჩაიყაროს ახალი საფუძველი. რეორგანიზაციის შედეგად წარმოიქმნება ორი სუბიექტი არსებული დარჩება სააქციო საზოგადოებად, ხოლო მეორე იქნება ახალი შპს.

სააქციო საზოგადოება გეგმავს ფულადი სახსრების მოზიდვას ინვესტორის მოძიების და აქციების გამოშვების გზით. მოზიდული თანხებით ევროპული მოდელის ავტოსადგურის მოწყობას, ავტოსატრანსპორტო სარემონტო ბაზის შექმნას, რომელიც აღჭურვილი იქნება სარემონტი დიაგნოსტიკური პოსტებით, სათადარიგო ნაწილებით, სასაწყობო მეურნეობით, საიჯარო ქირით და სასტუმრო მომსახურებით.

წინა პერიოდში არ გვიწარმოებია არანაირი კვლევა. მოცემული დროისათვის ვიკვლევთ ბაზარს და გვინდა დავგეგმოთ საზოგადოების განვითარების სტატეგია.

რისკები

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკის საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკების ლიმიტები და შემდგომ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩენა.

საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკებს წარმოადგენს ის რომ, ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხრის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი

გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში: ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში, გ) ფასის ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს საზოგადოებრივის მისაღები რისკების შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის Dდროს რისკი ამ საზღვრებს გასცდება.

ფინანსური მაჩვენებლები

2017 წლის საოპერაციო შემოსავალი (140,310ლარი) 26,200 ლარით ანუ 22.9% მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (114,110 ლარი).

2017 წლის საოპერაციო ხარჯები ცვეთის გაუთვალისწინებლად შეადგენს 127,716 ლარს და 29,694 ლარით მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 98,022 ლარის. შესაბამისად 2017 წლის საოპერაციო ზარალმა შეადგინა 20,353 ლარი, რაც 16,762 ლარით ანუ 45%-ით ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (37,115 ლარი).

გაუმჯობესებულია ფულადი სახსრების ნაშთის მდგომარეობა: თუ 2016 წელს ადგილი ჰქონდა ფულადი სახსრების კლებას 2,625 ლარის ოდენობით, 2017 წელს მოხდა 44,076 ლარიანი ზრდა. შესაბამისად ფულადი სახსრების ნაშთმა 2017 წლის ბოლოს შეადგინა 52,573 ლარი, რაც 44,076 ლარით, ანუ 518.72% მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სს "ტრაქტები"ს გენ: დირექტორი
მერაბი ყვავაძე

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში: ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში, გ) ფასის ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს საზოგადოებრივის მისაღები რისკების შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის Dდროს რისკი ამ საზღვრებს გასცდება.

ფინანსური მაჩვენებლები

2017 წლის საოპერაციო შემოსავალი (140,310ლარი) 26,200 ლარით ანუ 22.9% მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (114,110 ლარი).

2017 წლის საოპერაციო ხარჯები ცვეთის გაუთვალისწინებლად შეადგენს 127,716 ლარს და 29,694 ლარით მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 98,022 ლარის. შესაბამისად 2017 წლის საოპერაციო ზარალმა შეადგინა 20,353 ლარი, რაც 16,762 ლარით ანუ 45%-ით ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (37,115 ლარი).

გაუმჯობესებულია ფულადი სახსრების ნაშთის მდგომარეობა: თუ 2016 წელს ადგილი ჰქონდა ფულადი სახსრების კლებას 2,625 ლარის ოდენობით, 2017 წელს მოხდა 44,076 ლარიანი ზრდა. შესაბამისად ფულადი სახსრების ნაშთმა 2017 წლის ბოლოს შეადგინა 52,573 ლარი, რაც 44,076 ლარით, ანუ 518.72% მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სს "ტრაქტები"ს გენ: დირექტორი
მერაბი ყვავაძე

